ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი: დადგენილების პროექტის მიღება განაპირობა, საქართველოს ორგანულ კანონში ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში" განხორციელებულმა ცვლილებამ, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოდ და მუნიციპალიტეტის უმაღლეს თანამდებობის პირად გამგებლის ნაცვლად მერი განსაზღვრა, ხოლო მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებად გამგეობის ნაცვლად მერია, ასევე ჩოხატურის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად რამოდენიმე სამსახურს შეეცვალა სახელი.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიღების მიზანი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების მიზანია დადგენილების კანონმდებლობათან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი: დადგენილების პროექტით ცვლილება შედის ,, ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №13 დადგენილებაში.

ბ)დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო და (საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება: დადგენილების პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებითი ხარჯებით დაფინანსებასთან.

გ) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

დ) დადგენილების პროექტის ავტორები: პროექტის ავტორია უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში: მარიტა მგალობლიშვილი

ე) სხდომაზე მომხსენებელი:

სხდომაზე მომხსენებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარინე ბერაძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე : მარინე ბერაძე.

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2018 წლის ----------

დ. ჩოხატაური

,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[I] მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1.დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3.განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: **მარიტა მგალობლიშვილი**

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N----------

2018 წლის ----------

დ. ჩოხატაური

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

ცვლილება შევიდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №13 (www.matsne.gov.ge, 19/02/2014, სარეგისტრაციო კოდი 010250000.04.001.016100), დადგენილებაში:

1.დადგენილების პირველი დანართის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.კონტროლი მოსაკრებლის გამოანგარიშებასა და ბიუჯეტში შეტანის ორგანიზებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებს: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, ზედამხედველობის სამსახურს.

2.დადგენილების მე- 3 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქიით

დანართი 3

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის
დასუფთავებისათვის

სახაზინო კოდი		
ქვითარი:		
0		
მისამართი:		
საიდენტიფიკაციო კოდი ან პირ. N:		
სამუშაო ფართის 1კვ.მ (ან ერთსულზე)		ტარიფი
რაოდენობა	0.00	0.00
თარიღი	ოპერაციის ტიპი	თანხა
00.00.2017	დარიცხვა	0.00
დებეტი	0.00	
გადახდილია	0.00	
გადასახდელია	0.00	

გთხოვთ არაუგვიანეს 20 რიცხვისა გადაიხადოთ მოსაკრებელი გადაუხდელობის შემთხვევაში გატარდება ადმინისტრაციული ზომები.

ძვირფასო მოქალაქენო !

ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და იურიდიული პირებისათვის მოსაკრებელი გადიახდება თვეში ერთხელ თვის ბოლო კალენდარული დღის მეორე დღიდან 20 დღის განმავლობაში. როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშწორების წესით.

მოსახლეობა ვალდებულია დასუფთავების მოსაკრებლის გადახდა განახორციელოს კვარტალურად, როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშწორების წესით, რომლის ადმინისტრირებას განახორციელებს ა(ა)იპ ,,სხივი“ მხარეთა შეთანხმებით მოსაკრებლის ოდენობის და გადახდის შესახებ ინფორმაცია გადამხდელს შეიძლება ეცნობოს SMS შეტყობინებით, რომელიც:

ანაცვლებს ამ ქვითრის მიღების სამართლებრივ მნიშვნელობას. დავალიანების ნებაყოფლობით გადახდევინების მიწერილობის უგულებელყოფისას კალენდარული წლის 20 დეკემბრისთვის დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში კანონმდებლობის შესაბამისად საქმე წარედგინება სასამართლოს.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მიმართოთ მერიის ზედამხედველობის სამსახურს.

ტელ: 577 95 70 01

3.დადგენილების მე-4 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედქციით:

დანართი 4

<table>
<tr><td colspan="4">ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია

მოსაკრებელი კურორტ ბახმაროს დასუფთავებისათვის</td></tr>
<tr><td>სახაზინო კოდი</td><td colspan="3"></td></tr>
<tr><td>ქვითარი:</td><td colspan="3"></td></tr>
<tr><td colspan="4">0</td></tr>
<tr><td colspan="4">მისამართი:</td></tr>
<tr><td colspan="4">საიდენტიფიკაციო კოდი ან პირ. N:</td></tr>
<tr><td colspan="2">მესაკუთრე ან/და მოსარგებლე</td><td colspan="2">ტარიფი</td></tr>
<tr><td>რაოდენობა</td><td>0.00</td><td colspan="2">5(ხუთი)ლარი</td></tr>
<tr><td>თარიღი</td><td>ოპერაციის ტიპი</td><td colspan="2">თანხა</td></tr>
<tr><td>00.00.2017</td><td>დარიცხვა</td><td colspan="2">0.00</td></tr>
<tr><td colspan="2">დებეტი</td><td colspan="2">0.00</td></tr>
<tr><td colspan="2">გადახდილია</td><td colspan="2">0.00</td></tr>
<tr><td colspan="2">გადასახდელია</td><td colspan="2">0.00</td></tr>
<tr><td colspan="4">გთხოვთ არაუგვიანეს მოსაკრებლის გადახდის ქვითარის გამოიწერიდან 5 დღის ვადაში გადაიხადოთ მოსაკრებელი გადაუხდელობის შემთხვევაში გატარდება ადმინისტრაციული ზომები.</td></tr>
<tr><td colspan="4">ძვირფასო მოქალაქენო !

ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და იურიდიული პირებისათვის მოსაკრებელი გადაიხდება თვეში ერთხელ თვის ბოლო კალენდარული დღის მეორე დღიდან 20 დღის განმავლობაში. როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშწორების წესით.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მიმართოთ მერიის ზედამხედველობის სამსახურს.

ტელ: 577 95 70 01</td></tr>
</table>

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ზაალ მამალაძე**

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტზე

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისი №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულო და თანამდებობის პირები საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემენ შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება, პროექტი შესაბამისობაშია ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილების (ცვლილების (ცვლილებების) ან/და დამატების (დამატებების) შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილ იქნა ცვლილება.

საკრებულოს აღნიშნული პროექტი მტკიცდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტით - საკრებულოს დადგენილებით.

უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი

უზრუნველყოფის საკითხებში: თამარ ახალაძე